თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 320 000 (სამას ოცი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დასახელება

1.თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული მომსახურება: ოპერაცია - გამოკვლევა;

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია;

გ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.

2. არ დაფინანსდება:

ა) ესთეტიკური მიზნით ოპერაციები;

ბ) საკეისრო კვეთა;

გ) მკურნალობა.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა

1.თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

ა)1000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის -50% ით;

ბ)1000 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით - 500 ლარით;

გ) 3000 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით - 800 ლარით;

დ) 5000 ლარიდან ზემოთ - 1000 ლარით.

2. იმ მოქალაქეების მეორედ მომართვის შემთხვევაში, რომელთა მატერიალური შემოსავალი ფიქსირდება 10 000 ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევათ.

3.მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში, ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობის გამოთხოვას შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100);

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი, (ინვოისი, კალკულაცია,) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით;

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. საკმარისია, ერთ-ერთის რეკომენდაცია.

ვ) კერძო დაზღვევის შემთხვევაში, მოქალაქემ წარმოადგინოს ცნობა საყოველთაო დაზღვევიდან თანხმობის ან უარის შესახებ;

ზ) მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში, ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში);

თ) მინდობით აღზრდის შემთხვევაში, მინდობი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თანადაფინანსების შესახებ წერილის პროექტს.
2. სამედიცინო მომსახურეობის ღირებულების თანხიდან დაფინანსება, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდება მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრული ნუსხა, რომლის საფუძველზეც გამოიცემა მერის ბრძანება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი